



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ალექსი პეტრიაშვილი

რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი აგრესიის 9 თვე:

შედეგები, გამოწვევები და პერსპექტივები

ნატოსთვის და ევროკავშირისთვის

2022

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

ნატო

ნატოს ცალკეული წევრი-ქვეყნების სპეციალურმა სამსახურებმა 2021 წლის შემოდგომაზე უკვე იცოდნენ, რომ რუსეთი უკრაინაში სრულმასშტაბიანი აგრესიისთვის ემზადებოდა. შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაციის მასშტაბების და სატელიტებიდან მიღებული ფოტომტკიცებულებების გარდა, ცხადია, სადაზვერვო არხებით შემოდიოდა დადასტურებული ინფორმაციები (აგენტურული ინფორმაცია, სატელეფონო საუბრების გადაჭერები, ელექტრონული დაზვერვის წყაროები და ა.შ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა საგანგებოდ მიავლინა მოსკოვში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი, აშშ-ს ყოფილი ელჩი მოსკოვში უილიამ ბერნსი, რომელმაც პირადად ჩაიტანა აშშ-ს პრეზიდენტის წერილი და შეტყობინება პუტინისთვის: ჩვენ ვიცით რას აპირებთ და გირჩევთ, შეჩერდეთ. ამ ვიზიტის შემდეგ, როგორც ბილ ბერნსი ადასტურებს, მან პრეზიდენტს უპატაკა: ჩემი შეშფოთება კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ¹.

აშშ-ს ადმინისტრაციამ უკრაინის ხელმძღვანელობაც გააფრთხილა. საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულეზამ სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყებიდან თვეების შემდეგ გაიხსენა, როდესაც ის და პრეზიდენტ ზელენსკის ადმინისტრაციის უფროსი ანდრეი ერმაკი ჩავიდნენ ვაშინგტონში, მათ ძალიან მაღალ დონეზე უთხრეს: „დაიწყეთ სანგრების თხრა. თქვენ მოგიწევთ რუსეთის მასიური თავდასხმის მოგერიება“ ².

თუმცა, ვიდრე 2022 წლის 24 თებერვალი დადგებოდა, როდესაც პუტინმა უკრაინაში „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა, იყო ერთი მნიშვნელოვანი თარიღი – 2021 წლის 17 დეკემბერი. ამ დღეს რუსეთმა საჯაროდ გადასცა საკუთარი პირობები ამერიკის შეერთებულ შტატებს, 2 შეთანხმების პროექტების სახით. ამ პირობების შინაარსი და მეორე მხარისთვის გადაცემის უჩვეულო ფორმა თავისთავად მიაჩნებოდა, რომ, რეალურად, პუტინის რეჟიმი არ აპირებდა არავითარ მოლაპარაკებაზე წასვლას.

რა იყო მთავარი მოთხოვნები?

- 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გაუქმება საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრიანების თაობაზე და ვალდებულება, რომ ეს ქვეყნები არასდროს გაწევრიანდებოდნენ ალიანსში;
- ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოში გაწევრიანებული ქვეყნების ტერიტორიებიდან ბირთვული შეიარაღებისა და ნატოს სამხედრო ძალების გაყვანა 1997 წლის ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტის გაფორმების დროისთვის არსებული მდგომარეობით;
- მხარეები არ განათავსებდნენ საშუალო სიშორის რაკეტებს ისეთ ტერიტორიებზე, საიდანაც თავდასხმის საფრთხე რეალური იქნებოდა;

¹ <https://www.washingtonpost.com/national-security/2022/08/16/ukraine-road-to-war-takeaways/?fbclid=IwAR2PwwBCAwFIMsesBg4gMvDqphxZ-guIM3evUllJAHzEtoaoalU-MUSCGB4>

² <https://www.washingtonpost.com/national-security/2022/08/16/ukraine-road-to-war-takeaways/?fbclid=IwAR2PwwBCAwFIMsesBg4gMvDqphxZ-guIM3evUllJAHzEtoaoalU-MUSCGB4>

- რუსეთთან შეთანხმების გარეშე ნატო არ გაგზავნიდა გემებს, თვითმფრინავებს, ცოცხალ ძალებს და სამხედრო ტექნიკას რუსეთის მახლობლად წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად.

ცხადია, ყველა ხვდებოდა, რომ ამ პირობებს შესრულება არ ეწერა. თუმცა, აშშ-მ მაინც სცადა სტრატეგიული შეიარაღების თაობაზე შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების პროცესის ინიცირება. ევროპელი ლიდერები კიდევ უფრო შორს წავიდნენ: საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერები ერთმანეთის მიყოლებით ეახლნენ პუტინს მოსკოვში და საჯაროდ აღუთქვეს, რომ უკრაინის და საქართველოს გაწევრიანებაზე გადაწყვეტილება არც არსებობს და არც ახლო თუ შორეულ მომავალში იგეგმებოდა. ეს იყო მწარე სიმართლე, მაგრამ იყო სრული სიმართლე. მით უმეტეს, რომ 2014 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ არც ომის დასრულების პერსპექტივები ჩანდა და არც ნატოს წევრებს შორის იყო მზაობა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების მდგომარეობაში მყოფი უკრაინის და 2008 წლის შემდეგ ტერიტორიების 20%-ზე მეტის ოკუპაციის პირობებში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის.

რაც შეეხება პოლონეთიდან, ბალტიის და ბალკანეთის ქვეყნებიდან ნატოს ჯარების გაყვანას, ჯერ ერთი, ეს იყო ძალიან უმნიშვნელო კონტინგენტი (1000-1600 ჯარისკაცი პოლონეთში, ბალტიისა და შავი ზღვის ნატოს წევრ ქვეყნებში ნამდვილად ვერ განიხილებოდა იმ დროისთვის მითოლოგიური მსოფლიოს მეორე არმიისთვის რაიმე სერიოზულ საფრთხედ) და მეორე – მათი განთავსება მოხდა 2014 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთი შეიჭრა უკრაინაში. მანამდე ნატო პირნათლად ასრულებდა რუსეთთან დადებულ შეთანხმებას, რომ ახალი წევრების ტერიტორიაზე ის არ განთავსებდა საკუთარი სამხედრო ძალების რაიმე არსებით რაოდენობასა და რაიმე სახის სტრატეგიულ შეიარაღებას³

სინამდვილეში, საქმე საერთოდ არ იყო არც უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობასა და ნატოს ტერიტორიაზე ჯარების არსებობაში. 2010 წლიდან მოყოლებული 2013 წლამდე უკრაინას პრაქტიკულად ნეიტრალური სტატუსი ჰქონდა პრორუსი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის „დამსახურებით“. მან ქვეყნის პრიორიტეტებიდან ამოიღო ნატოში გაწევრიანება, მაშინდელმა რადამ მიიღო კანონი უბლოკო სტატუსის შესახებ და მიზნად დაიტოვა მხოლოდ ევროკავშირში ინტეგრაცია. ევროკავშირის საკითხს უფრო ვრცლად ცოტა მოგვიანებით შევეხებით, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ იმჟამად არსებული მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობის შეთანხმებაზე ყველაფერი იყო, არათუ ევროკავშირში გაწევრიანების, არამედ ევროპული პერსპექტივის გაჩენის გარდაც კი. უბრალოდ, პუტინს არ უნდოდა იმის დაშვება, რომ თეორიულად მაინც უკრაინაში შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთი გარდაქმნები, რომელთა შედეგად თუ სრულად არ დამარცხდებოდა, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა კორუფციის დონე და, პირიქით, გაიზრდებოდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დონე. ეს იყო

³https://www.brookings.edu/opinions/one-more-time-its-not-about-nato/?fbclid=IwAR3N1ddfTDMaXBUVa8k4-RR2yyq7Gy_sFJBKavgFhYvAZSMLAol3yomsqRs.

ყველაზე მძიმე კომმარო, რაც კი პუტინს წარმოედგინა – უკრაინა, მოლდოვა და საქართველო – შემდგარი დემოკრატიები საბაზრო ეკონომიკებით მისი კორუმპირებული, კრიმინალური და ავტოკრატიული იმპერიის საზღვრებზე.

რაც შეეხება ნატოს გაფართოებას, ვიდრე ფინეთის და შვედეთის ნატოში გაწევრიანების საკითხს განვიხილავდეთ, კარგი იქნება გავიხსენოთ, რომ ნატომ 1997 წლის მაისში ჯერ რუსეთთან გააფორმა შეთანხმება, ხოლო იმავე წლის ივლისში პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი მიიწვია გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად⁴.

2002 წელს ნატო-რუსეთის სამიტისთვის უკვე მეორე გაფართოების ტალღაც იყო გამოცხადებული, მაგრამ პუტინს არათუ არ გაუპროტესტებია, არამედ ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე საუბრობდა რომში ნატოს ლიდერებთან. ბალკანეთის ქვეყნების ნატოში გაწევრიანება შედარებით მტკივნეულად აღიქვა რუსეთმა რეგიონისადმი ისტორიული დამოკიდებულების გამო. მონტენეგროში რუსეთმა გადატრიალებაც კი სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს ნიკოლოზ პატრუშევს, რომელსაც პირადად მოიაზრებდნენ ამ გადატრიალების ოპერაციის ხელმძღვანელად, სერიოზული ძალისხმევა დასჭირდა შემდგომში რუსი სპეცსამსახურის თანამშრომლების ციხიდან გამოსხნისა და, საერთოდ, ამ ისტორიის ჩასაფარცხად⁵.

განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო რუსეთის მშვიდი რეაქცია ფინეთის და შვედეთის ნატოში გაწევრიანების განაცხადთან დაკავშირებით. რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია უკრაინაში რამდენიმე თვის დაწყებული იყო, როდესაც ფინეთის და შვედეთის ხელისუფლებებმა ოფიციალური განაცხადი შეიტანეს ნატოში გაწევრიანების მოთხოვნით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთს ფინეთთან 1350-კილომეტრიანი საზღვარი აქვს. არადა, კარგად გვახსოვს რუსეთის ხელისუფლების და მისი მოლაპარაკე თავების რიტორიკა, რომ ისინი აღარ დაუშვებდნენ რუსეთის საზღვრებთან მტრული ალიანსის მიახლოებას. რუსეთის ხელისუფლებას, პირადად პუტინსა და მის ოფიციალურ პირებს, საკმაოდ მშვიდი რეაგირება ჰქონდათ ამ სიახლეზე⁶. მათი გზავნილი იყო: შვედეთი და ფინეთი ისედაც დიდი ხანია დე ფაქტო წევრების დონეზე თანამშრომლობენ ნატოსთან და ეს მხოლოდ ფორმალური პროცედურების დასრულება იქნებოდა⁷. საინტერესოა თავად ფინეთისა და შვედეთის საზოგადოებების დამოკიდებულება ნატოში გაწევრიანებასთან. ჯერ კიდევ 2021 წელს შვედეთში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, საზოგადოების მხოლოდ 30% უჭერდა მხარს ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას⁸). 2022 წლის სექტემბრის

⁴ https://www.brookings.edu/opinions/one-more-time-its-not-about-nato/?fbclid=IwAR3N1ddfTDMaXBUVa8k4-RR2yyq7Gy_sFJBKavgFhYvAZSMLAol3yomsgRs

⁵ <https://ecfr.eu/publication/do-the-western-balkans-face-a-coming-russian-storm/>

⁶ <https://www.reuters.com/world/europe/russia-calls-finland-sweden-joining-nato-mistake-with-far-reaching-consequences-2022-05-16/>

⁷ <https://www.reuters.com/world/europe/russias-lavrov-says-finland-sweden-joining-nato-makes-no-big-difference-2022-05-17/>

⁸ <https://globalaffairs.org/commentary-and-analysis/blogs/major-shift-swedish-public-supports-nato-membership?fbclid=IwAR2PwwBCAwFIMsesBg4gMvDqphxZ-guIM3evUILLJAHzEtoaoaIU-MUSCGB4>

გამოკითხვებით, ამ მაჩვენებელმა 83%-ს მიაღწია⁹, ფინეთში კი 76% შეადგინა¹⁰. ამ ორი ქვეყნის ნატოში ოფიციალურად გაწევრიანებამდე მხოლოდ 2 წევრი-ქვეყნის – თურქეთის და უნგრეთის პარლამენტების მიერ შეთანხმების რატიფიკაცია დარჩა. 24 ნოემბერს უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა სლოვაკეთში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ 2023 წლის პირველ სესიაზე უნგრეთის პარლამენტი მოახდენს ამ შეთანხმების რატიფიცირებას¹¹. შედარებით რთულად არის საქმე თურქეთის შემთხვევაში, რომელსაც აქვს მთელი რიგი მოთხოვნები ფინეთის და შვედეთის მიმართ. ანკარა ითხოვს ახალი წევრებისგან მათ ტერიტორიაზე მოქმედი ქურთული ორგანიზაციების ტერორისტულ დაჯგუფებებად აღიარებას; მათთვის თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმას, დაფინანსების და პოლიტიკური მხარდაჭერის შეწყვეტას. იგივე ეხება ორგანიზაცია „ფეტოს“ საქმიანობასაც, რომლის ლიდერი ფეთულა გულენი თურქეთს პრაქტიკულად ნომერ პირველ ტერორისტად ჰყავს აღიარებული. განსხვავებით სტოკჰოლმისგან, ჰელსინკისთან მოლაპარაკებები უფრო იოლად მიდის წინ, თუმცა შვედეთში მემარჯვენე მთავრობის ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ საბოლოო შეთანხმების შანსები კიდევ უფრო გაიზარდა. ზოგადად, ეს საკითხი თურქეთის პრეზიდენტის საშინაო და ცალკეული საგარეო-პოლიტიკური საკითხების ჭრილში განიხილება. მომავალ წელს ერდოღანს საკმაოდ რთული არჩევნები ელოდება და ამიტომ ის მაქსიმალურად ეცდება ეს გარემოება საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს. საგარეო ასპექტებიდან ერდოღანისთვის მნიშვნელოვანია ამერიკული ფ-16 თვითმფრინავების შესყიდვის თემის განახლება. ამ მიმართულებით ნაკლებად სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი ან გარღვევა იქნეს მიღწეული, მაგრამ ზემოხსენებული ორგანიზაციების შვედეთსა და ფინეთში საქმიანობასთან დაკავშირებით არსებობს მოლოდინი, რომ თურქეთის პრეზიდენტი მაქსიმუმს „გამოადნობს“.

როგორც არ უნდა იყოს, ეს საკითხი რუსეთისთვის პირველხარისხოვანი ნამდვილად არ არის. ფაქტია, რომ რუსეთმა მიიღო ყველაფერი იმის საპირისპირო, რასაც 2021 წლის 17 დეკემბერს ითხოვდა ნატოსგან და ამერიკის შეერთებული შტატებისგან.

მოდით, განვიხილოთ რა შედეგი მოუტანა ნატოს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის 9 თვემ და რა გამოწვევების წინაშე დგას ალიანსი:

1. ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე იყო ავღანეთიდან ალიანსის ქაოსური გასვლა, რომელმაც მნიშვნელოვანი ჩრდილი მიაყენა მანამდე აშშ-ს პრეზიდენტ ბაიდენის მიერ გაკეთებულ განცხადებას ნატოს ერთობაზე და მის ისტორიულ მიმართვას : „ამერიკა დაბრუნდა“. ავღანეთიდან გასვლამდე იყო ნატოს სამიტი, იყო მანამდე ტრამპის მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება გერმანიიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის თაობაზე და წინა ადმინისტრაციის დროს ალიანსის შიგნით გაჩენილი ნაპრალის ამოვსებისკენ მიმართული ძალისხმევა. თუმცა, ავღანეთიდან,

⁹ <https://globalaffairs.org/commentary-and-analysis/blogs/major-shift-swedish-public-supports-nato-membership?fbclid=IwAR2PwwBCAwFIMsesBg4gMvDqphxZ-guIM3evUilJAHzEtoaoalU-MUSCGB4>

¹⁰ https://yle.fi/a/3-12437506?fbclid=IwAR3mxNVtQyqwLJE-dbPKPQApPQJ1vbxVpyY1GaEwGJ-Uvsn_DzB2HLEFbSM

¹¹ <https://www.reuters.com/world/europe/polish-pm-says-hungary-promised-ratify-nato-membership-finland-sweden-2022-11-24/>

რბილად რომ ვთქვათ, ქაოსურმა გასვლამ კვლავ გააჩინა კითხვები, მართლა დაბრუნდა თუ არა ამერიკა და მართლა მოიხსნა თუ არა ნატოს წევრებს შორის დამაბულობები (სხვათა შორის, არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ავღანეთიდან არცთუ ისე მწყობრი გასვლა იყო ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პუტინის გადაწყვეტილებაში, ანუ ნატო მართლაც დასუსტებულია და ახლა არის კარგი დრო და მომენტი როგორც უკრაინის დასაპყრობად, ისე თავად ნატოს პრესტიჟის მნიშვნელოვნად დასაზიანებლად და ალიანსის შიგნით უფსკრულის კიდევ უფრო მეტად გასაღრმავებლად). მოულოდნელად კრემლისთვის, აგრეთვე, ალიანსის ბევრი გულშემატკივრისა თუ არაკეთილმოსურნესთვის, ნატომ საოცარი ერთობის, ერთსულოვნების და ერთობლივად მოქმედების დემონსტრირება მოახდინა. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია აშშ-ს პრეზიდენტის როლი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს განსაკუთრებით აღინიშნოს დიდი ბრიტანეთის აწ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის და მასთან ერთად გერმანიის ახალი კანცლერის ოლაფ შოლცის ისტორიული წვლილი, რომ ნატო მართლაც არის ახლა ისეთი ერთიანი, როგორც არ ყოფილა ალბათ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. არის გარკვეული საფრთხე, რომ ომის გაჭიანურების შემთხვევაში, ნატოს ინდივიდუალური წევრი ქვეყნების შიგნით გაჩნდეს უკრაინით „გადაღლის“, ინფლაციით და ენერგომატარებლებზე მაღალი ფასებით უკმაყოფილების ზრდის, რუსეთთან ისტორიული ურთიერთობებიდან გამომდინარე ნორმალიზების მსურველთა გააქტიურების ტენდენციები ვიხილოთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც იმედი მაქვს, რომ ალიანსის პოზიციის ერთიანობაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს.

2. ნატო გაფართოვდა – შვედეთსა და ფინეთზე ზემოთ ვისაუბრეთ, მაგრამ აქაც აღვნიშნავთ: მართლაც, ძალიან ღირებული, ძალიან ძლიერი, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, ახალი წევრები შეუერთდებიან სულ ცოტა ხანში ალიანსს.
3. ნატოს ევროპელი წევრი სახელმწიფოების თავდაცვა და უსაფრთხოება კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა. აშშ-მ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გადმოისროლა ევროპაში ლეგენდარული 101 სადესანტო დივიზია. გარდა ამისა, ათეულ ათასობით ამერიკელი სამხედრო იცავს დღეს ნატოს ევროპელი წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას, ხოლო ამერიკული სტრატეგიული ბირთვული ბომბდამშენები უზრუნველყოფენ ალიანსის ბირთვულ სიმშვიდეს; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება მაინც მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, თუმცა აშშ-ს ადმინისტრაციის ღრმა რწმენით, ამის ალბათობა მაინც ძალიან დაბალია¹², ხოლო ალიანსის გზავნილები რუსეთის მისამართით – ძალიან ხისტი და პირდაპირი.
4. ნატოს უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში რუსეთი მიჩნეულია მთავარ საფრთხედ. ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთხმად შეარცხა რუსეთი ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად. აქედან მთავრობების მიერ რუსეთის ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად აღიარებამდე კიდევ რჩება მანძილი, შეიძლება არცთუ ისე მოკლე, მაგრამ ერთი რამ

¹² <https://edition.cnn.com/2022/09/28/politics/us-putin-nuclear-weapon-not-probable/index.html>

ცხადია – ქვეყანამ, რომელიც მოიაზრება მთავარ საფრთხედ და ამ დრომდე მიჩნეული იყო მსოფლიოს ნომერ მეორე არმიად, დაკარგა 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი daxocilebis, დაჭრილებისა და ტყვედ ჩავარდნილების სახით; გაუნადგურდა 300-მდე თვითმფრინავი, ამდენივე ვერტმფრენი, რამდენიმე ათასი ტანკი, ჯავშანმანქანა და მძიმე ტექნიკა, ჰაერსაწინააღმდეგო და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი გემი „მოსკვა“ და მასთან ერთად 11 საბრძოლო საზღვაო ხომალდი¹³. რაც მთავარია, ეს ყველაფერი მოხდა ისე, რომ თავად ნატოს 1 ტყვიაც კი არ გაუსვრია. ნატოს გენერალური მდივანი ყველა თავის გამოსვლაში არის ძალიან მკაფიო – ნატომ არ უნდა დაუშვას რუსეთის გამარჯვება და ყველაფერი უნდა გაკეთდეს უკრაინის დასახმარებლად¹⁴.

5. ნატომ უკრაინის სახით მიიღო ნამდვილი უსაფრთხოების ფარი – ევროპაში ყველაზე ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები და ევროპაში ყველაზე დიდი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია გაუმკლავდეს რუსეთის აგრესიას და გახდეს მისი ალიანსის წევრი.
6. მართალია, ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული საბოლოოდ უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი, მაგრამ რუსეთზე უკრაინის გამარჯვებისთანავე, დარწმუნებული ვარ, ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ დროის ამბავი იქნება. ბოლო დროს ძლიერდება არგუმენტი ამ გაფართოების სასარგებლოდ, რომ რუსეთი ვერ/არ ესხმის თავს იმ ქვეყნებს, რომლებიც არიან/ხდებიან ნატოს წევრები. ამიტომ უმჯობესია საქართველოც, უკრაინაც და მოლდოვაც კი იყვნენ ალიანსის შიგნით, რათა მომავალში აღარ გაჩნდეს მათზე თავდასხმის სურვილი.
7. ნატოს წევრებმა დაიწყეს აქტიურად მუშაობა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფის მიმართულებით. გახსოვთ კარგად მძიმე საუბრები დონალდ ტრამპსა და ანგელა მერკელს შორის ნატოს თავდაცვის ბიუჯეტში 2%-იანი ზღვრის დროულად შესრულების თაობაზე. ახლა კი ოლაფ შოლცი ლაპარაკობს 100 მილიარდი ევროს გამოყოფაზე, რათა გერმანიას უახლოეს მომავალში ჰყავდეს ევროპაში ყველაზე ძლიერი არმია¹⁵. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინისთვის გაწეულმა სამხედრო დახმარებამ და ზოგადად რუსეთის ომმა უკრაინაში რეალურად გააშიშვლა ის პრობლემა, რომელიც იდგა წლების მანძილზე – ალიანსის წევრთა უმრავლესობის თავდაცვისუნარიანობა და შეიარაღება ცივი ომის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტდა და საჭიროებს სერიოზულ სახსრებსა და ძალისხმევას მის გასაუმჯობესებლად.
8. საბოლოო ჯამში, ამ ომის დასრულების შემდეგ ნატო კვლავ იქნება ერთადერთი წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი და უსაფრთხოების რეალური გარანტი, ოღონდ გაცილებით უფრო გაძლიერებული სამხედრო და სამხედრო-

¹³ <https://thehill.com/opinion/national-security/3748573-putins-thanksgiving-day-charade/?fbclid=IwAR0fuSmTyTks5hLrzXBB2f0pqxFm6IPRSbWdhB-DSeebIMROyr7fenZNuHs>

¹⁴ https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_209356.htm

¹⁵ <https://www.dw.com/en/germany-commits-100-billion-to-defense-spending/a-60933724>

პოლიტიკური თვალსაზრისით. იმედია, ეს მოხდება ნატოსა და რუსეთს შორის უშუალო დაპირისპირების გარეშე, მაგრამ სათანადოდ დაფასდება უკრაინის (საქართველოსიც, რა თქმა უნდა) მსხვერპლი ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში ნატოს შიგნით უკრაინასაც განმსაზღვრელი როლი განეკუთვნება.

ევროკავშირი

როგორც ბორის ჯონსონის ინტერვიუდან ირკვევა, ევროკავშირის ლიდერების ნაწილს ან საერთოდ ვერ წარმოედგინა, რომ რუსეთი შეიჭრობდა უკრაინაში, ან ვარაუდობდა, რომ ომი ძალიან სწრაფად დასრულდებოდა უკრაინის სრული მარცხით, ანუ კიევის დაცემით და დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოგდებათ¹⁶. ამის მოსმენა ალბათ ყველაზე რთული უკრაინის ოფიციალური პირებისთვის და დიპლომატებისთვის იყო ომამდე ცოტა ხნით ადრე და ომის პირველ დღეებში, მაგრამ გერმანელი, ფრანგი და იტალიელი ლიდერების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ძალიან სწრაფად გამოერკვნენ ვითარებაში და როდესაც დარწმუნდნენ, რომ უკრაინა არ აპირებდა არც კიევის ჩაბარებას და არც დანებებას, ერთადერთი სწორი და პრინციპული პოზიცია დაიკავეს. იტალიაში ხელისუფლების ცვლილებას იმედის თვალთ უყურებდნენ ალბათ მოსკოვშიც და პრორუსულ წრეებშიც, მაგრამ იტალიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჯორჯა მელონიმ პირველივე დღეებიდან ცხადი გახადა, რომ იტალიის პოზიცია იქნებოდა პრინციპული, უკრაინის მხარდაჭერისადმი ურყევი და ნატოსა და ევროკავშირის ევროპის პოზიციებთან სრულ თანხვედრაში.

ისევე, როგორც ნატოში, ევროკავშირშიც საკითხების უმეტესობა კონსენსუსის წესით წყდება. ევროპული კავშირი კიდევ უფრო რთული ბიუროკრატიული და პოლიტიკურად მგრძობიარე გაერთიანებაა. ცხადია, მისი წამყვანი ეკონომიკების როლი და სიტყვა მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც აქვს თავისი წონა ევროკავშირთან ურთიერთობებში და მის აზრს ანგარიშს უწევენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სანქციების პაკეტების მიღებამ ყველაზე ნათლად დაგვანახა, რომ ყველაზე მცირე ზომის და ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც კი საკუთარი ინტერესების გატარებას ახერხებენ და ყველა დიდი გადაწყვეტილება სწორედ მისი ინდივიდუალური წევრების მოთხოვნის/ინტერესების გათვალისწინებით მიიღება.

ომის დაწყებამდე როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატები პირად საუბრებში არც კი უშვებდნენ, რომ ევროკავშირს შეეძლო ისეთი ზომები მიეღო რუსეთის წინააღმდეგ, რაც შემდგომი თვეების განმავლობაში ვიხილეთ. სამწუხაროდ, მათ

¹⁶ <https://edition.cnn.com/2022/11/22/europe/boris-johnson-ukraine-invasion-europe-comments-intl/index.html>

პოზიციებს 2014 წლის გამოცდილება უმაგრებდა ზურგს, როდესაც უკრაინაში რუსეთის შეჭრას დღევანდელი გადმოსახედიდან „ღიმილის მომგვრელი“ სანქციები მოჰყვა.

ცხადი იყო, რომ ევროკავშირი ტრადიციული აღშფოთება-შეშფოთების განცხადებებით და დეკლარაციებით ვერ შემოიფარგლებოდა, მაგრამ ობიექტურად უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის ასე შორს წასვლასაც ბევრი არ მოელოდა. რუსული სახელმწიფო აქტივების გაყინვა, რუსი ოლიგარქების ქონებისა და საბანკო ანგარიშების სანქციებში მოხვედრა, რუსეთის ბაზრიდან ევროპული კომპანიების გამოსვლა, რუსულ საფინანსო სექტორთან თანამშრომლობის პრაქტიკულად პარალიზება, რუსეთის მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში შესვლის პროცედურების გართულება, ხოლო ცალკეულ ქვეყნებში საერთოდ აკრძალვა და ბოლოს, ნავთობისა და გაზის სექტორში, გადამეტების გარეშე, რევოლუციური გადაწყვეტილებების მიღება იყო, ალბათ, კიდევ ერთი დიდი ანალიტიკური ჩავარდნა პუტინის კალკულაციებში. ბუნებრივ აირზე, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ევროპის დამოკიდებულება იმდენად დიდი იყო, რომ პუტინს ვერც კი წარმოედგინა (ალბათ, ვერც ევროპელების უმრავლესობას), რომ სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყებიდან 9 თვის თავზე ევროკავშირის მიერ რუსული გაზის მოხმარება 40%-დან 7.5%-ზე ჩამოვიდოდა¹⁷. ევროკომისიის პრეზიდენტის ურსულა ფონ დერ ლაინის¹⁸, გერმანიის კანცლერის¹⁹ განცხადებებიც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ გაზის მარაგების შევსების ტემპები წარმოუდგენლად მაღალი გამოდგა და ნაცვლად წლებისა, ამას მხოლოდ თვეები დასჭირდა.

ახლა, როდესაც უკვე მიღებულია ემბარგო რუსულ ნავთობზე, ევროკავშირი მუშაობს, რომ რუსეთმა ვერ შეძლოს ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების (საბერძნეთი, მალტა, კვიპროსი) ხელშეწყობით უხილავი ტანკერების ფლოტის შექმნა და სანქციების გვერდის ავლით მაინც განაგრძოს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რეალიზებიდან შემოსავლების მიღება, რაც ძირითადად ომის წარმოებაზე დაიხარჯება. ოქტომბრის მონაცემებით, ევროპა ნაცვლად დღიური 1.2 მილიონი ბარელი ნავთობისა, რუსეთისგან ყიდულობდა 95 ათას ბარელ ნავთობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები განიხილავდნენ ემბარგოს ძალში შესვლამდე რუსული ნავთობის ფასის ზედა ზღვარს. პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები ითხოვდნენ გაცილებით უფრო დაბალ - 30-დოლარიან ზღვარს, უმეტესობა ქვეყნებისა იხრებოდა 60-დოლარიან ნიშნულზე, მაგრამ ბაზარმა და ვითარებამ ისე დაარეგულირა, რომ რუსული ნავთობი ნოემბრის ბოლოს 50-52 დოლარიან მაჩვენებელზე დაიყვანა.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, აქ ემბარგოს დაწესება გაცილებით უფრო რთული იყო, თუმცა სადაც გერმანიამ ჩამოწერა 11-მილიარდიანი ჩრდილოეთის ნაკადი-2-ის პროექტი და არ

¹⁷ <https://www.aa.com.tr/en/europe/eu-has-reduced-share-of-russian-gas-imports-to-75-eu-commission-chief/2707526#:~:text=The%20European%20Union%20has%20reduced,in%20the%20country's%20capital%20Tallinn.>

¹⁸ <https://www.bloomberg.com/news/articles/2022-08-29/europe-nears-gas-storage-target-early-despite-russian-supply-cut>

¹⁹ <https://www.aa.com.tr/en/economy/germany-s-gas-storage-facilities-are-at-full-capacity-chancellor-scholz/2746121>

შეიმჩნია ჩრდილოეთ ნაკადი 1-ზე მომხდარი აფეთქების შედეგად გაზის მიწოდების შეწყვეტა, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნების უდიდესი ნაწილი საბოლოოდ გადაეწყობა გაზომომარაგების ალტერნატიულ გზებზე. მართალია, გათხევადებული ბუნებრივი აირის ფასი არც ისე დაბალია და ევროკავშირში ჩივიან, რომ ამერიკული პროდუქტი ძვირია და მთელ ამ პროცესში სწორედ ამერიკა ნახულობს ყველაზე მეტ სარგებელს, მაგრამ პროცესი რეალურად დაწყებულია და შეუქცევადია. რუსეთს ჰქონდა ევროპის შანტაჟის მცდელობა, მაგრამ ალტერნატიული გზების ძიებასთან, ევროკავშირის პრინციპულ პოზიციასთან ერთად, ამინდმაც ზურგი აქცია პუტინის რეჟიმს და მოულოდნელად თბილმა შემოდგომამ და ზამთრის პროგნოზებმა მისი მთავარი იარაღი – ბუნებრივი აირის ფასი მნიშვნელოვნად შეამცირა.

ცხადია, არავის აქვს ილუზია, რომ ეს ყველაფერი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს ევროკავშირის მოქალაქეებისთვის. ევროპული კომპანიების გამოსვლამ რუსული ბაზრიდან, ისევე, როგორც რუსი ტურისტების რაოდენობის შემცირებამ ევროპის ქვეყნებში, ჯერ კიდევ მაღალმა ფასებმა, რეკორდულმა ინფლაციამ და, რა თქმა უნდა, უკრაინისთვის გაწეულმა ფინანსურმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ევროპელების შემოსავლებზე. თუმცა, ჯერჯერობით უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფერს არ მოუხდენია ზეგავლენა ევროპელების განწყობებზე უკრაინელებისთვის დახმარების გაგრძელებასთან დაკავშირებით. კვლევების თანახმად, ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობა მხარს უჭერს უკრაინის დახმარების გაგრძელებას²⁰. ეს არ ნიშნავს, რომ ომის გაჭიანურების საფრთხე ნეგატიურად არ იმოქმედებს ამ მხარდაჭერის მაჩვენებლებზე, მაგრამ ჯერჯერობით ევროპული საზოგადოებები მხოლოდ და მხოლოდ ქებას და მადლიერებას იმსახურებენ. ვინც იცნობს რიგითი ევროპელის განწყობების კომპლექსურობას, ეგოცენტრიზმს და ევროსკეპტიციზმს, ამ მადლიერების გამოხატვაში ნამდვილად შემომიერთდება.

ისევ და ისევ, არ შეიძლება არ აღინიშნოს გერმანიის ახალი, კოალიციური მთავრობის და მისი ხელმძღვანელის – ოლაფ შოლცის როლი ამ ყველაფერში. თუკი პოლონეთის, ბალტიის და ცენტრალური ევროპის ცალკეული ქვეყნების პოზიცია იმთავითვე ადვილი გამოსაცნობი იქნებოდა, გერმანიის კანცლერის ისტორიული გამოსვლა ბუნდესტაგში ძალიან ბევრისთვის ძალიან დიდი მოულოდნელობა იყო. ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა აღიარა, რომ ახლებური მიდგომების და ახალი ლიდერის მოსვლის დრო იყო²¹. ცხადია, ყველაფერზე პასუხისმგებლობას ანგელა მერკელს ვერ და არ დავაკისრებთ, რომელიც, პირველ რიგში, გერმანული ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე ახდენდა რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკის ფორმირებას, მაგრამ დღეს უკვე ისმის როგორც მაღალი რანგის პოლიტიკოსების, ისე ისტორიკოსების და ექსპერტების შეფასებები, რომ გერმანიის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით მცდარი იყო. ჩრდილოეთის ნაკადი 1-ის მილსადენის აფეთქების ადგილიდან

²⁰ <https://www.europarl.europa.eu/at-your-service/files/be-heard/eurobarometer/2022/public-opinion-on-the-war-in-ukraine/en-public-opinion-on-the-war-in-ukraine-20221006.pdf>

²¹ <https://www.bbc.com/news/world-europe-63751688>

ფოტომ ზუსტად დაიმსახურა სახელწოდება: „გერმანიის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით 1 ფოტოში“!

გერმანიასთან ერთად პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი წილი საფრანგეთსაც ეკუთვნის, რომელიც ჯერაც არ წყვეტს მცდელობებს შეუნარჩუნოს რუსეთს სახე, დასვას მოლაპარაკების მაგიდასთან ვლადიმერ პუტინი და რაიმე ფორმით მიაღწიოს ცეცხლის შეწყვეტას. დიახ, რაიმე ფორმით და არა – რუსეთის კაპიტულაციის იძულებით.

ევროკავშირში „თეთრი ყვავის“ ფუნქცია აშკარად უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანს განეკუთვნება. მისი პოლიტიკა პუტინის მიმართ ფაქტობრივად არც კი შეცვლილა. მართალია, ისიც შეუერთდა სანქციების აბსოლუტურ უმრავლესობას, მაგრამ ყველაზე აქტუალურ საკითხებში, როგორცაა ბუნებრივი აირის და ნავთობის შესყიდვა, უნგრეთმა მოახერხა და საკუთარი პოზიციის გათვალისწინებაზე დაიყოლია ევროპული კავშირი.

ევროკავშირმა საკუთარი წვლილი უკრაინის სამხედრო აღმშენებლობის საქმეშიც შეიტანა. გარდა იმისა, რომ პირველივე კვირებიდან დაიწყო უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდება, ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება შექმნას სპეციალური მისია, რომელიც დაეხმარება უკრაინის შეიარაღებულ ძალებს, კერძოდ, მოამზადებს მის შენაერთებს რუსეთთან საბრძოლველად. ცხადია, აქ ისევ წამოყო თავი ევროპული არმიის შექმნის იდეამ, რომელსაც დაუდალავად ლობირებს საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი, მაგრამ, ჩემი მოკრძალებული აზრით, ამ იდეას რეალიზების პერსპექტივა არ აქვს.

სამაგიეროდ, საფრანგეთის პრეზიდენტის სხვა იდეამ პოვა განვითარება. ევროპული პოლიტიკური გაერთიანება პირველად შეიკრიბა პრალაში, სადაც პირდაპირ ითქვა, რომ ეს არ არის ევროპული კავშირის არც ალტერნატივა და არც დანამატი. უბრალოდ, ეს იქნება კიდევ ერთი უფრო ფართო პლატფორმა, სადაც ევროპული ქვეყნები შეძლებენ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობას და შეთანხმებას²².

ევროპარლამენტმა ასევე მიიღო ისტორიული რეზოლუცია²³, რომლითაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა, რომ რუსეთი აღიარონ ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად და შეიქმნას საერთაშორისო სასამართლო უკრაინაში ჩადენილი დანაშაულების უშუალო შემსრულებლების და ბრძანებების გამცემთა დასასჯელად.

უკრაინის ბრძოლამ ისტორიული როლი შეასრულა და არანაკლებ ისტორიული შესაძლებლობა გააჩინა, რომ ევროკავშირის გაფართოება რეალურად მოხდეს აღმოსავლეთით, კონკრეტულად, უკრაინის, მოლდოვის და საქართველოს მიმართულებით.

ამის თაობაზე ბევრი მნიშვნელოვანი განცხადება გაკეთდა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი იყო ევროპული კავშირის გადაწყვეტილება უკრაინისა და მოლდოვისთვის წევრობის

²² https://www.freiheit.org/european-union/franco-german-perspectives-european-political-community?fbclid=IwAR3N1ddfTDMaXBUVa8k4-RR2yyq7Gy_sFJBKavgFhYvAZSMLAol3yomsqRs

²³ <https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20221118IPR55707/european-parliament-declares-russia-to-be-a-state-sponsor-of-terrorism>

კანდიდატის სტატუსის, ხოლო საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ²⁴. ევროკავშირის გაფართოების ისტორიას ვინც ცოტათი მაინც იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ასეთი გადაწყვეტილებები არცკი განიხილებოდა, რომ არა უკრაინის გმირული ბრძოლა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. სულ ცოტა ხნით ადრეც კი, ვიდრე რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია დაიწყო, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სტრუქტურებში ასეთ რამეზე არავინ მსჯელობდა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ უკრაინას გამარჯვების შემდეგ ავტომატურად მიიღებენ ზარ-ზეიმით ევროკავშირში, ისევე, როგორც არავითარი გარანტიები არსებობს მოლდოვისა და საქართველოსთვის, მაგრამ ვერავინ უარყოფს ფაქტს, რომ სწორედ უკრაინელებისა და მათთან ერთად ქართველების წარმატებული ბრძოლის შედეგად გაჩნდა ეს უნიკალური შესაძლებლობა, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება!

²⁴ <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/06/23/european-council-conclusions-on-ukraine-the-membership-applications-of-ukraine-the-republic-of-moldova-and-georgia-western-balkans-and-external-relations-23-june-2022/>